ორი მატჩი, ორი გამარჯვება

დამთავრდა სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატი. გათამაშების ბოლო ტურში საქართველოს გუნდებმა შინ გამართეს თავიანთი კალენდარული შეხვედრები.

”დინამო” (თბილისი) – ”ჩერნომორეცი” (ოდესა) 1:0 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 19 ნოემბერი.

”დინამო”: აბუსერიძე, ანდღულაძე, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე, დოჩია. სულაქველიძე, კაკილაშვილი, ცავა (გურული), მესხი.

”ჩერნომორეცი”: ელინსკასი, იშჩაკი, გორიაჩევი, ჟარკოვი, პლოსკინა, სკრიპნიკი, ბელანოვი, შრიი, კულეშევიჩი, შალომაი (ფინკი), პოკონინი.

მსაჯი: ნ. კოზიაკოვი (ვორონეჟი).

გააფრთხილეს იშჩაკი.

ორივე გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო ჩემპიონატის წინა კალენდარული მატჩები და ბოლო ტურში, ცხადია, მასპინძლებიც და სტუმრებიც ცდილობდნენ წარმატებით ეთამაშათ. თბილისელთა ამოცანა იყო მეოთხე ადგილის შენარჩუნება, ”ჩერნომორეცს” კი გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო რამდენიმე ადგილით წინ გადაენაცვლა. ამდენად მათ ძალების სრული დაძაბვით უნდა ებრძოლათ წარმატების მისაღწევად, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, არც სანახაობრივი თვალსაზრისით, არც წმინდა სპორტული ღირსებით თამაში რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი არ გამოდგა. მატჩი მიმდინარეობდა უმთავრესად მინდვრის შუაგულში, ცალკეულ შემთხვევებში ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ თბილისელებს, შესვენების შემდეგ კი ოდესელები ამაოდ ცდილობდნენ საპასუხო ბურთის გატანას.

მაგრამ თამაშს ჩვენთვის მაინც გარკვეული ინტერესი ჰქონდა. სხვა ახალგაზრდებთან ერთად თბილისელთა რიგებში ითამაშეს დებიუტანტებმა აბუსერიძემ, კოჩიამ, გურულმა. ასეთთა გამოჩენა ძირითად შემადგენლობაში კი მუდამ საყურადღებოა ნამდვილი გულშემატკივრისთვის.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ მატჩს დაესწრო 33 ათასზე მეტი მაყურებელი, ეს კი, ეჭვი არაა, სწორედ ის ხალხია, ვისაც ჭეშმარიტად აინტერესებს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა ბედ–იღბალი, აწმყო და მომავალი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ის გულშემატკივრებია, რომლებიც მაშინაც ქომაგობდნენ თბილისის “დინამოს”, როცა მან ევროპული თასი მოიპოვა, და მაშინაც, როცა იგი სსრ კავშირის ჩემპიონატს “მხოლოდ” მეოთხე ადგილზე ამთავრებს. ასეთი მაყურებლის მხარდაჭერა მუდამ ესაჭიროება დებიუტანტებსაც, ახალგაზრდებსაც და გამოცდილ ფეხბურთელებსაც.

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, მესხმა გაიტანა 21–ე წუთზე: მან მიიღო გადაცემა მინდვრის შუაგულიდან, სწრაფად გავიდა წინ და ზუსტად დაარტყა კარის დაბალ მარცხენა კუთხეში – 1:0.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 21 ნოემბერი, 1982 წ.